სვიმონ მეფე

(1557 – 1600)

დავ. კარიჭაშვილისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ტ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა მ. შარაძისა და ამხან. ნიკოლ. ქუჩა, 21.
Типлграфія М. Шарадзе и К-о Ник. Ул. № 2I.
1894

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го февраля 1894 г.

სვიმონ მეფე

(1557 – 1600)

I

მას აქედ, რაც საქართველო განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ, ეს ქვეყანა სადავო ლუკმად შეიქნა ოსმალეთსა და სპარსეთს შუა. 1556 წ. [1]) ამ ორთა სახელმწიფოთ, ხანგრძილივის დავის შემდეგ შეკრეს ზავი, რომლის ძალითაც საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი – ქართლი, კახეთი და სამცხე დაიჩემა სპარსეთმა, დასავლეთი ნაწილი – იმერეთი, გურია, ოდიში და აბხაზეთი – ოსმალეთმა.

მაშინ ქართლში მეფობდა ლუარსაბ I, კახეთში ლევან I, იმერეთში გიორგი II, სამცხეში მთავრობდა ყვარყვარე ათაბაგი, ოდიშში – ლევან დადიანი, გურიაში – როსტომ გურიელი. ამისთანა დროს, როდესაც მტრებმა ჩვენი ქვეყანა გაინაწილეს, ჩვენი მეფენი და მთავრები ერთმანეთში უთანხმოდ ცხოვ-

1) ისკანდერ მუნჯი ამ წლის მაგიერ უჩვენებს 1553 წ. (იხ. Histoire de la Géorgie t II, l, I, p. 450).

რობდნენ. ლევან მეფეს და ყვარყვარე ათაბაგს წინადვე ჰქონდათ სპარსეთისთვის გამოცხადებული ერთგულება. მეფე გიორგი, ლევან დადიანი და როსტომ გურიელი ოსმალებს ერთგულად აჩვენებდენ

თავს. მხოლოდ ლუარსაბ მეფე არ ნდომულობდა არც სპარსების, არც ოსმალების ბატონობას, თუმცა ტფილისიც-კი ეჭირათ სპარსებს 1548 წლითგან. სპარსეთის ყაენს მარტო ლუარსაბის დამორჩილებაღა უნდოდა, რომ აღმოსავლეთი საქართველო სრულიად მისი კუთვნილი ყოფილიყო. ამიტომაც ოსმალებთან ზავის შეკვრის შემდეგ ყაენი შაჰ-თამაზი წამოვიდა დიდძალის ჯარით ქართლის დასაპყრობლად.

ლუარსაბმა და დიდებულებმა პირდაპირ მტრის დახვედრას გახიზვნა და ციხე-სიმაგრეებში გამაგრება ამჯობინეს. ყაენმა სამცხითგან ჩავლო თრიალეთი, მივიდა საბარათიანოს და მიადგა ბირთვისის ციხეს. მეციხოვნენი ძალiან გამაგრდნენ. ყაენი იძულებული შეიქნა ცბიერება ეხმარა ამ ციხის ასაღებად: მეციხოვნეებს დაჰპირდა უვნებელობას და საჩუქრებს, თუ დანებდებოდენ. გაჭირებულმა მეციხოვნებმა დაიჯერეს ყაენის სიტყვა და დანებდენ, მაგრამ შაჰ-თამაზმა გატეხა თავისი პირი და მათგან ზოგი გასწყიტა, ზოგიც დაატყვევა. ბირთვისითგან ყეენი წამოვიდა გორისაკენ, რომელიც ტფილისის სპარსთაგან დაჭერის შემდეგ მეფის სამყოფი გახდა.

ლუარსაბს სახლობა აქეთ-იქით ჰყავდა მიმალული თითონ-კი ხან აჩაბეთის ციხეში იყო, ხან იმერეთში. ყაენმა აიღო გორი და მახლობელი ციხეები: წედისისა, ვერისა და ატენისა. ამის შემდეგ ყაენი გაბრუნდა უკან და წაასხა თან 30,000 ტყვე, რომელთა შორის იყვენ ლუარსაბის დედა და და. ლუარსაბ მეფე დაედევნა გაბრუნებულს სპარსებს და ბევრი ზარალი მისცა დახოცვით და ალაფის წართმევით. სპარსელებმა მოასწრეს ქართლითგან გასვლა და მეფემ ვერ მოახერხა დედისა და დის გათავისუფლება. სპარსეთში მიმავალმა შაჰ-თამაზმა განჯაში ბეგლარბეგად დატოვა შაჰ-ვერდი ზიად-ოღლი, რომელსაც მიანდო ქართლის ციხეების დაცვა და ლუარსაბზე თვალყურის დაჭერა.

ყაენის წასვლის შემდეგ ლუარსაბი შეუდგა ქართლითგან სპარსების გაძევებას. დაიჭირა ყველა ადგილები ტფილისისა და გორის ციხეების გარდა. ამის დამნახავმა განჯის ბეგლარბეგმა შეკრიბა ჯარი და წამოვიდა ქართლში ლუარსაბის წინააღმდეგ (1557 წ,). სპარსების დასახვედრად ლუარსაბი გორითგან წავიდა სომხეთში და დაიბანაკა ვარხუნაში. იმ ღამეს სიზმარი ნახა და იმის გამო მეორე დღეს, დილას, მოიხმო კათოლიკოზი ნიკოლოზ ბარათაშვილი. თავის შვილები: სვიმონ, დავით და ვახტანგ და

ყველა თავადები. ამ შეკრებილებაში მეფემ სთქვა: „სიზმარი ვნახე მართალი და ჭეშმარიტად დასაჯერი

რომ უსაცილოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ყიზილბაშ-ნი გაიქცევიან; ამ ომში მე მომკლავენ და ჩემს მკვლე-ლსაც ქართველები მოჰკლავენო“. მერე სვიმონს მო-ჰკიდა ხელი და სთქვა: „ხელმწიფობა ამისთვის მიმი-ცემია და კიდეც ღირსია“. დანარჩენს ორს შვილს მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენც უფროს ძმას დაე-მორჩილენით“. ყველანი მივიდენ სვიმონთან და ხე-ლზე აკოცეს; კათალიკოზმა აკურთხა. ლუარსაბმა ურჩია ქართველებს, რომ მის სიკვდილით არ მოშ-ლილიყვენ და სპარსების გალახვის შემდეგ მცხეთას მიესვენებინათ მისი გვამი და დაემარხათ. ამის გაგო-ნებაზედ ყველანი ატირდენ და მოახსენეს მეფეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავს, ამ გზობით მტერს ნუ შევებმით და უკუ ვეცალნოთო“. ეს სი-ტყვა, მატიანის თქმით, მეფემ შორს დაიჭირა და ასე უპასუხა: «დღეს აქნობამდის ხონთქარსა და ყაენს ზურგი არ შევაქციე, როთ იქნების, რომ ახლა ერთს ყაჯარს [2]) პირი დავარიდოვო».

შაჰ-ვერდი ზიად-ოღლი რომ ქართველებს მიუ-ახლოვდა, ლუარსაბმა ჯარს სვიმონი უთავა. სვიმო-ნი გაუძღვა ჯარს სპარსების წინააღმდეგ, ლუარსაბი კი, რომელსაც თან ახლდა კათოლიკოზი, ეპისკო-პოზები და რამდენიმე მოხუცებული თავადი, უკან დადგა. სვიმონმა თავის ჯარის ერთი ნაწილი დამა-

[2]) ზიად-ოღლი ყაჯარის ტომისა იყო.

ლა საფარში, ხოლო დანარჩენით შეებრძოლა სპარ-სელებს. ბრძოლა რომ გაცხარდა, ქართველებმა და-იხიეს უკან, ვითომ შეშინებულებმა. გულ-მოცემუ-ლი სპარსები დაედევნენ ქართველებს. დევნის დროს სპარსელები ერთს ალაგს უცებ შეჩერდნენ, რადგან მოულოდნელად დაეცა ჩასაფრებული ქართველი ჯა-რი [3]). ახლა სპარსელებმა იბრუნეს პირი, უწესოდ გაიფანტენ და აქეთ-იქით გაიქცენ. სვიმონი დაე-დევნა შაჰ ვერდის და სრულიად ამოუწყვიტა ჯარი [4]). თვით შაჰ ვერდიმ გაქცევა მოასწრო. სვიმონი რომ მტერს სდევნიდა, სპარსელების ერთი ნაწილი მაჰმად-სულთანის წინამძღოლობით შეიმალა ტყეში და სცდი-ლობდა შეუნიშნავად გაპარვას. ტყეში სიარულის დროს მაჰმად-სულთანმა შენიშნა ერთს მაღლობს ადგილზე [5]) ლუარსაბ მეფე მცირეოდენის მისის მხლე-

ბლებით, რომელთაც შეადგენდნენ ეპისკოპოსები და მოხუცებული ერის კაცნი. მაჰმად-სულთანმა მოინდომა, ესარგებლა ამ შეხვედრით და, მეფის მხლებლების სიცოტავით წაქეზებულმა, შეუტია მტერს. მეფე და მასთან მყოფნი მამაცურად დაუხვდენ სპარსებს. თავ-გამომეტებით მებრძოლმა ქართველებმა დაამარცხეს ბევრად მომეტებული სპარსები და გაა-

---

[3]) სვიმონის მაგიერ მუნχი ლუარსაბს ასახელებს. (იხილ. Hist. De la géir. T. II, l. I, p. 452).

[4]) იქვე.

[5]) იქვე.

ქციეს. ლუარსაბს ბრძოლაში დაემტვრა ყველა იარაღი. ამის მიუხედავად გაქცეულს მაჰმად-სულთანს უკან გამოედევნა, დააძგერა თავისი ცხენი მისს ცხენს და ცხენიანად ძირს დასცა. მას შემდეგ სხვებს გამოედევნა და ცხენის ძგერებით იბრძოდა. ამ დევნაში ლუარსაბს აკი უკანასკნელი იარაღიც წაუხდა! მის ცხენს ფეხი მიწის ნასკდომში ჩაუვარდა და მეფე ცხენიანად წაიქცა. ამის დამნახავი ერთი სპარსი, სახელად ზაქირი, მივარდა მეფეს და მახვილი დასცა. ლუარსაბს მიეშველნენ მხლებლები, გამოედევნენ ზაქირს და მოჰკლეს ისიც და ბევრი სხვებიც [6]). სვიმონმა მამის დაჭრა რომ გაიგო, მტრების დევნას თავი ანება და დაბრუნდა მამასთან. მის და ყველა ქართველების მწუხარება გაუზომელი იყო. ლუარსაბმა ცოტა ხანი იცოცხლა, რადგან ჭრილობა სასიკვდილო გამოდგა. მისი გვამი წამოასვენეს მცხეთას და სვეტიცხოვლის საყდარში დაასაფლავეს 155 7 w. [7])

II

ლუარსაბის დასაფლავების შემდეგ სვიმონი მეფედ ეკურთხა მცხეთაში 20 წლისა. ახალგაზდა მე-

---

[6]) იქვე.

[7]) ბროსეს მოწმობით ორი დოკუმენტი იპოვება, რომელთაგან ერთი უჩვენებს 1558 წ. სვიმონის მეფობის მეორე ინ-

ფე ხასიათით და თვისებით ძალიან ჰგავდა თავის მამას: მამასავით მხნე, გამბედავი მეომარი და დამოუკიდებლობის მოყვარული იყო. ამიტომაც ახალის მეფობით ქართლის პოლიტიკა სრულებითაც არ შეცვლილა. სპარსელებოს გაძევება და ქვეყნის გათავისუფლება იყო სვიმონის აზრიცა. სვიმონი შეუდგა

სპარსთაგან დაჭერილის ციხე-სიმაგრეების დაბრუნებას და ცოტა ხანში დაიჭირა გორის ციხე და სხვა ადგილები. მხოლოდ ტფილისის აღება ვერ მოახერხა, რადგან სპარსებს ძალიანა ჰქონდათ გამაგრებული. როგორც ლუარსაბის დროს, ახლაც გორი იყო სამეფო ტახტის სამყოფად.

სპარსების ქართლითგან გაძევებაში სვიმონს თანაშემწედ ჰყავდა არჩილ მუხრან-ბატონიშვილი, რომელიც ხშირად ესხმოდა ტფილის და არბევდა მის გარემო მყოფს სპარსების მორჩილს ადგილებს. საუბედუროდ ეს მხნე შემწე მალე მოაშორეს სვიმონს. ერთხელ ტფილისითგან გამოვიდენ სპარსები და დაეცენ არჩილს საფურცლეში. არჩილი ბრძოლაში იძლია, შეიპყრეს სპარსებმა და ტყვედ გაგზავნეს ყაენთან (1560 წ.).

ამისთანა შემწის დაკარგვამ სვიმონი არ გააჩერა

დიკტიონს, მეორე – 9 თიბათვეს 1566 წ. იმავე მეფობის მეცხრე ინდიკტიომს (იხ. H. de la Géor. T. II, l. I, p. 350). ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ სვიმონი გამეფებულა 1557 წელს 9 თიბათვის შემდეგ.

და უფრო მხნედ შეუდგა სპარსების ქართლითგან გაძევებას. 1561 წ. სვიმონმა ტფილისის ასაღებად შემწეობა სთხოვა კახეთის მეფეს ლევანს, რომლის ასული ნესტან-დარეჯანი მან შეირთო ცოლად 1559 წ. კახელების ცდაში სვიმონი თავის ჯარით დადგა ციხედიდში (ძეგვში). ეს ამბავი რომ შეიტყო განჯის ბეგლარ-ბეგმა შაჰ-ვერდი ზიად-ოღლიმ, იმანაც შეჰკრიბა არეზის წყლის გამოღმა ლაშქარი და წამოვიდა ქართლში. სვიმონთან მივიდა კახეთის ჯარით მისი ცოლის ძმა გიორგი ბატონიშვილი. შაჰ-ვერდი ზიად-ოღლიმ-კი სპარსეთის ჯარით განჯითგან გამოიარა ქართლის აოხრებული და უშენო ადგილები (ხუნანი, ღვინჭრობი და ვაშლოვანი) და ისე შევიდა ტფილისს, რომ სვიმონმა ვერ გაიგო. ქართველებმა ციხედიდში ხანდაგი გათხარეს და იქ დაბანაკდენ. დიდმარხვის მიწურული იყო და აღდგომაც დგებოდა. სვიმონს დ ქართველებს უნდოდათ, ეს დღესასწაული მოსვენებით გადაეხადათ. დევის-ნამუხლარში ყარაულები დააყენეს, რომ სპარსელების მოძრაობისთვის თვალ-ყური ედევნებინათ. აღდგომა ღამეს ყველა ყალაურები წირვის მოსასმენად ავიდენ მუხათგვერდში და გზა უყურადღებოდ დასტოვეს. შაჰ-ვერდიმ ამით ისარგებლა და იმავე ღამეს ტფილისითგან ციხედიდს მიუძღვა სპარსებს, ხანდაგი მიწით ამოავსებინა და ზედ აღდგომა დილას დაეცა ქართველებს. სვიმონმა საჩქაროდ გააწყო ჯარი საომრად. სპარსე-

ბის მოწინავესა და ქართველთ ლაშქარს შორის გაცხარებული ომი შეიქნა. ქართველები ომობდნენ საშინელის თავ-გამომეტებით და მრავალი სპარსი დახოცეს. განჯის ბეგლარ-ბეგმა რომ ასეთის თავ-გამომეტებით მებრძოლნი დაინახა ქართველები, მიუბრუნდა თავის ჯარს და უთხრა: „გზა შორს გვაქვს, რომ გავიქცეთ. ვერსად გავატანთ, უკან დაგვეწევიან და დაგვხოცენ; მუხანათობით სიკვდილს ისევ ვამჯობინოთ, რომ ძალმიცემით ომში შევაკვდეთ“. ესა სთქვა და შუაგულის ჯარით ჩაერია ომში თვით შაჰ-ვერდი. ორისავე მხრით ბრძოლა უფრო გაცხოველდა. სპარსები მეტნი იხოცებოდენ და კინაღამ უკან არ დაიწიეს. მაგრამ ამ დროს უცებ გაისმა ქართველებში: გიორგი ბატონიშვილი მოკვდაო! კახელებმა ტირილი იწყეს, ომს აღარ დასდიეს, გამოიტაცეს ბატონიშვილის გვამი საომრითგან და ბრძოლას თავი ანებეს. ამ ამბავზედ სპარსელები გამხნევდენ, შეუტიეს ქართველებს და გააქციეს. ამ ომში ბევრი სპარსი გაწყდა, აგრეთვე ბევრი, თუმცა იმდენი-კი არა, ქართველები დაიხოცენ (სხვათა შორის ცხრა ამილახვრის გვარისა იქმნა მოკლული) შაჰ-ვერდი-სულთანი იმავე ღამეს ტფილისს დაბრუნდა. მოკლული ბატონიშვილი გიორგი კახეთს წაასვენეს, სვიმონ მეფე თავის ლაშქრით გორს დაბრუნდა.

სპარსების დრო-გამოშვებითმა შემოსევამ, მათთან უთანასწორო ბრძოლამ და ამ ბრძოლა-შემოსე-

ვის შედეგად მოყოლილმა ქვეყნის აოხრებამ ბევრს ქართველს გაუტეხა გული და სასოება წარუკვეთა. გულ-გატეხილი და სასოწარკვეთილი ქართველები მზად იყვენ ქვეყნის დამოუკიდებლობა შეეწირათ მშვიდობიანობისთვის, ამიტომ არ მოსწონდათ სვიმონ მეფის პოლიტიკა, რომელიც თავის მამის მსგავსად სპარსების ხელმწიფების წინაამდეგი იყო. თავიანთ სურვილის შესასრულებლად იმათ ჩააგონეს სვიმონის ძმას დავითს, რომ სპარსეთისათვის მორჩილება გამოეცხადებინა, ამ ნაირად ქართლის ტახტი ეშოვა და ქართლში მშვიდობიანობა ჩამოეგდო სპარსებთან მორიგებით. დავითის ამ ნაირის მრჩეველთა შორის ერია უმეტესი ნაწილი ბარათაშვილთა და სხვა სომხეთის თავადთა, რომელნიც, როგორც მოსაზღვრე მცხოვრებლები, ყველაზედ მეტად ზარალობდენ სპარსების შემოსევისაგან და მაშასადამე ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყვნენ მოწადინებული

მშვიდობიანობას, თუნდაც მორჩილებით ნაყიდსა. დავითი მოიხიბლა მომავალის მეფობის იმედით, მიიღო ამ ნაირი რჩევა და ციხედიდის ბრძოლის შემდეგ წავიდა თავის თავად-აზნაურებით ყაენთან ყაზმინს ერთგულებისა და მორჩილების გამოსაცხადებლად.

ყაენს იამა სვიმონის ძმის მორჩილება და პატივსაცემლად ყველა მის კარზე მყოფი ბეგლარები წინ მიაგება. მეჯლისი გაუმართა და თავის სიახლოვეს

დაისვა. მასთან მისული თავადებიც მეჯლისში დასხეს. დავითს მოეპყრენ როგორც ხელმწიფეს: ქვეშ საფენი გაუშალეს და დორი დაუგეს, ყაენის წინადადებით ცოტა ხანს უკან გამაჰმადიანდა დავითი, გამაჰმადიანდენ აგრეთვე მისი მხლებელი თავად-აზნაურნი. ამისთანა ერთგულობისთვის ყაენმა იშვილა დავითი, მისცა ქართლის მეფობა და აჩუქა 2,000 თუმანი, კაბა, სარტყელი, სიასამურის ტყავი, თაჯი, ხმალი, ხანჯალი, მარგალიტის საბუხარი, ოქროთი დაკაზმული ცხენი, ოქროს სურა და თასი. ყაენმა აგრეთვე დაურიგა ქართველს თავადებს და აზნაურებს სახარჯო ფული, ხალათი, ცხენი და იარაღი. მატიანის თქმით, რაც დავითსა და მასთან მისულს თავადაზნაურებს მიეცათ, სულ 9,000 თუმნისა იყო. ამის შემდეგ დავითი წამოვიდა სპარსების ჯარით, შემოვიდა ტფილისს და დაჯდა მეფედ (1566 წ. *). დავითს დაემორჩილა მარტო ტფილისი და სომხეთ-საბარათიანო. დანარჩენი ქართლი არ დაემორჩილა და

*) ნამდვილად არ ვიცით წელი არც დავითის სპარსეთს წასვლისა, არც ქართლს დაბრუნებისა. ქ. ც. და ისკ. მუნჯიც დავითის წასვლას ციხედიდის ომის შემდეგ მოიხსენებენ: „იხილა რა ძმამან მეფის სვიმონი ამან დავით სპასალართაგან ძლევა ესე, წავიდა სპარსეთად... და მივიდა წინაშე ყაენისა“ (ქ. ც. ტ. II, გვ. 26). „ამ ამბების შემდეგ დავით ლუარსაბის ძე განუდგა თავის ძმას, წავიდა შაჰის კარს, თავი დაუკრა შაჰს ყაზმინის ქალაქში და გამუსულმანდა“ (იხ. H. d. G. Moundji გვ. 454).

სვიმონის მხარეზე იყო. მართალია, დავითი გაამეფეს სპარსელებმა, მაგრამ სახელის მეტი მეფისა მისთვის არა მიუციათ-რა. ყაენის ბრძანებით ყოველს წელიწადს თითო ნაწილის ხანი ინიშნებოდა ტფილისის ციხის მცველად თავის ჯარით და ეს მორიგი ხანი იყო ნამდვილი მმართველი; უიმისოდ დავითი ვერას იქმოდა.

ამ ნაირად ქართლი ორს სამეფოდ გაიყო. სვიმონს ახლა სპარსელების გარდა უნდა თავის ძმასა

და მის მომხრე ქართველებთან ებრძოლა. ძნელი იყო ეს ბრძოლა, მაგრამ სვიმონი არ შედრკა და თავისებურის მხნეობით შეუდგა საქმეს. ერთის მხრით ესეოდა და არბევდა გამდგარს სომხით-საბარათიანოს, მეორე მხრით ცდილობდა ტფილისის აღებას. 1567 წ. [8]) სვიმონმა შეჰყარა ბლომად ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, გაემართა ტფილისის ასაღებად და გაჩერდა დიღომს. დაუთ-ხანმაც (ასე ეძახდენ დავითს მაჰმადიანობის მიღების შემდეგ) შეკრიბა ჯარი, გამოვიდა ტფილისით და მივიდა დიღომს. დავითს ჰყავდა სპარსების ჯარიც, რომელსაც სარდლობდა იბრაჰიმ-ხალიფა ყარამანლუ. დიღომში გაიმართა ბრძოლა სვიმონისა და დავითის ჯარებს შორის. სვიმონის ჯარი მომეტებული იყო დავითისაზე. დავითი დამარცხდა და გაიქცა თავის ჯარით, რომელმაც ორი ათა-

[8]) იხ. H. d. G. Moundji გვ. 454.

სამდე კაცი დაკარგა. მხოლოდ სპარსთა სარდალი იბრაჰიმ-ხალიფა არ გაჰყვა დავითს, თავის ჯარით თავხედად შეესია სვიმონის ჯარის შუაგულში და იწყო ბრძოლა თავ გამომეტებით [9]). ქართველებმა მოჰკლეს იბრაჰიმ-ხალიფა და მისი ჯარიც სრულებით ამოხოცეს, თუმცა თითონაც ბევრი ნავნები მოუვიდათ თავ-გადადებულის იბრაჰიმისაგან.

დავითმა მომხდარი ამბავი ყაენს შეატყობინა და შემწეობა თხოვა. ყაენის ბძანებით დავითს მოეშველა ჰასან-ბეგ ყარამანლუ ახალის ჯარით. დავით და ჰასან-ბეგ თავიანთ ჯარებით გაემართენ სვიმონის წინაამდეგ, რომელიც ისევ დიღომში იდგა. მოხდა ძლიერი ბრძოლა. დავითის ჯარში ორჯელ მეტი გაწყდა, ვიდრე სვიმონისაში. დავითი კიდევ იძულებული გახდა გაქცეულიყო ტფილისის ციხეში. მისი ჯარი სვიმონმა ზოგი გასწყვიტა და ზოგი შეიპყრა. მერე მიადგა ტფილისის ციხეს. ეგონა მოქალაქენი მე მომიდგებიანო, მაგრამ ისისნი ყაენის შიშით არ მიემხრენ, ცოლ-შვილით ციხეში შევოდენ და იქიდგან შექნეს თოფებისა და ზარბაზნების სროლა. რამდენიმე კაცი კიდეც დაუხოცეს სვიმონს. აგრეთვე ტყუილი გამოდგა სვიმონის ცდა, რომ ბარათაშვილები მიემხრო.

ამ დამარცხების შემდეგ დავითმა გაუგზავნა კა-

[9]) იქვე.

ცი ყაენის ამირ-სპასალარს, უსეინ-ბეგს, აუწყა თა-

ვის შეწუხება და შემწეობა ითხოვა მისგან. მაშინ უსეინ-ბეგ წამოვიდა ჯარით და ღამე შევიდა ტფილისის ციხეში, ისე რომ სვიმონმა ვერ გაიგო. როცა მისი მოსვლა შეიტყო, სვიმონმა ანება ტფილისს თავი და ავიდა სამადლოზე.

1568 წ. დავითი გამოვიდა ტფილისით და მივიდა სამადლოს. აქ შეებრძოლენ ერთმანეთს მოწინაამდეგე ძმები. დავითი დამარცხდა, ქართველებმა ბევრი სპარსები დახოცეს და შეიპყრეს. გაქცეულები ტფილისის ციხეში შეიხვეწენ. სვიმონი მიადგა ციხეს და ცდილობდა აეღო, მაგრამ ვერ მოახერხა და გორს დაბრუნდა. დავითმა კიდევ აცნობა ყაენს და სთხოვა შემწეობა.

შაჰ-თამაზმა მისწერა შაჰ-ვერდი-სულთანს, შაქის მმართებელს და ყველა ყარაბაღისა და შემახიის ბეგლარ-ბეგებს, რომ გამოეყვანათ სასყიდლით ლეკეთის შამხლები, შეეკრიბათ ყველა ემირები და ეშველათ დაუთ-ხანისთვის სვიმონის წინააღმდეგ. 1569 წ. განჯაში შეიკრიბა დიდძალია ჯარი. სვიმონ მეფემაც თავის მხრით შეკრიბა ჯარი და მოემზადა მტრის დასახვედრად. სპარსების ჯარი რომ ხუნანს მოვიდა, სვიმონი ჯარით დადგა ანწუფისს. სპარსელები გაჩერდენ ხუნანში და რჩევაში შევიდნენ, თუ რა გზით წასულიყვნენ. ამ დროს მათთან გამოცხადდა კახაბერ ყორღანაშვილი, შეატყობინა სპარსებს

მეფის გარემოება და დაჰპირდა გზის ჩვენებას. ამ მოღალატის წინამძღოლობით სპარსელები წამოვიდენ სვიმონისკენ და მოვიდენ ფარცხისს. სვიმონიც თავის ჯარით მივიდა ფარცხისს და შეება სპარსელებს, თუმცა ესენი ათჯერ მეტნი იყვენ ქართველებზე. ქართველებმა ისეთის თავგანწირვით იწყეს ბრძოლა, რომ პირველსავე კვეთებაზედ სპარსელებს უკან დაახევინეს. ომით გატაცებული სვიმონი გამოეკიდა სპარსებს და ჩაერია მტრების გუნდში. ამ გაცხარებულს დევნაში მეფე გაშორდა თავის ჯარს. მაშინ ყორღანაშვილმა იცნო მეფე და შეატყობინა სპარსებს მისი ვინაობა. სპარსები შემოეხვიენ მეფეს. ერთმა შამხალ-სულთანის გულამმა, სახელად ჯემშიდმა, [10]) წაართვა სვიმონს ცხენი და სხვების დახმარებით დაატყვევა. ეს ამბავი ქართველებმა ვერ გაიგეს, იბრძოდენ გაცხარებულნი და დახოცეს მრავალი მტერი. ხოლო როცა შეიტყეს, დამაშვრალები და იარაღ-გამოლეულები უკუ იქცენ. დატყვევებული მეფე სვიმონ ტფილისს წაიყვანეს, ხოლო იქიდგან დიდის პატივით ყაენთან გაისტუმრეს.

III

მართალია, სვიმონ მეფის დატყვევების შემდეგ დავითს ტახტის მოცილე აღარ ჰყავდა, მაგრამ ზო-

[10]) იქვე.

გიერთმა თავადებმა მაინც არ შეიწყნარეს მეფობა და თავნებობას მიჰყვეს ხელი, რის გამოც არეულობა ჩამოვარდა. მაგალითად, სიდამონ სიდამონიძემ არაგვის ხეობაში ამოწყვიტა თავადი ბაზლიძეები [11]. დავითს არა ჰქონდა იმდენი ძალა და მხნეობა, რომ წესიერება დაემყარებინა. ტფილისში ყოფნის მაგიერ მომეტებულად ქვეშის ციხეში (სომხეთში) იდგა, სცხოვრობდა განცხომით და ქვეყნის საქმეს არას დასდევდა. ელიზბარ ქვენაფლაველს დაემოყვრა და ქსნის ერისთავობა მისცა [12]).

სხვათა შორის დავითს არ დაემორჩილა სპასპეტო საჩინო ბარათაშვილი, მატიანის თქმით, კაცი ფრიად კეთილი. ამ ბარათაშვილმა სამაგიერო გადაუხადა ღალატისთვის კახაბერ ყორღანაშვილს ამ ნაირად. ერთხელ კოჯრითგან მომავალს შეხვდა, შიპყრა და გელიყარის კლდეზედ გადააგდო ამ სიტყვების მიძახებით: «უკეთუ კეთილ არს გაცემა ქვეყნისა და მეფისა, იხილე აწ შენცა». ამ შემთხვევამ მისცა საფუძველი ანდაზას: „ყორღანას ძე ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“.

სვიმონ მეფის ცოლი ნესტან-დარეჯან ძით გი-

[11]) აღწერა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვართა, გვ. 7 და 72. „ივერია“.

[12]) იქვე.

ორგით კავთისხევში სცხოვრობდა სრულებით უპატიოდ. იმას გარდა, რომ მისი ქმარი ტყვედ იყო წაყვანილი, სხვა უბედურებაც აუტყდა. ნესტან-დარეჯანს გადაემტერა კახეთის მეფე ალექსანდრე, რომელიც გამეფდა 1574 წ. ლევან მეფის შემდეგ. ალექსანდრე ლევანის უფროსი შვილი იყო და მაშასადამე ტახტიც მამის შემდეგ იმას ეკუთვნოდა, მაგრამ რაკი ლევანს პირველი ცოლი, ალექსანდრეს დედა, თინათინ გურიელის ასული თავდანებებული ჰყავდა, მისგან ნაშობი შვილებიც ალექსანდრე და იესე არ უყვარდა და მემკვიდრეობა მეორე ცოლისაგან ნაყოლის შვილის ელიმირზონისთვის უნდოდა.

მართლაც, მიიცვალა თუ არა ლევანი, მეფედ გამოცხადდა ელიმირზონი. ალექსანდრემ თავის მხრით თავი გამოიდო და ისიც მეფედ ეკურთხა. კახელები ორად გაიყვენ და გაიმართა ბრძოლა ალექსანდრესა და ელიმიზონს შორის. ალექსანდრემ გაიმარჯვა, დახოცა ელიმირზონი ძმებით და ძმისწულებით და დაიჭირა ტახტი. ნახევარძმების სიძულვილით მათი დაც, სვიმონის ცოლი, ნესტან-დარეჯანიც შეიძულა ალექსანდრემ. იმის ჩაგონებით 1575 წ. მისი სიმამრი ბარძიმ ამილახვარი და ელიზბარ ქსნის ერისთავი მიუხტენ კავთისხევში ნესტან დარეჯანს, აიკლეს მისი სარჩო-საქონელი და წაიღეს მეფისა და დედოფლის თითქმის ყოველივე საუნჯე. ამ ამბავმა დაჰბადა ანდაზა: „ვაი სვიმონ მეფის საქონელსაო“.

– 20 –

დატყვევებული სვიმონ ყაზმინს რომ მიიყვანეს, ყაენმა შაჰთამაზმა დიდის პატივით მიიღო და მრავალი საბოძვარიც მისცა. რამდენსამე ხანს სვიმონი ყაზმინს დარჩა. შაჰთამაზს უნდოდა მაჰმადიანობა მიეღებინებია, მაგრამ სვიმონმა გადაწყვეტილი უარი უთხრა. ამის შემდეგ ალამუტის ციხეში გაჰგზანეს, სადაც დარჩა შაჰთამაზის სიკვდილამდე (1576 წ.).

შაჰთამაზის შემდეგ მის საყვარელმა შვილმა ჰაიდარმა დაიჭირა ტახტი, მაგრამ ბევრს ხანს არ დარჩენილა ყაენად. იმავე წელიწადს მოჰკლეს და შაჰად დასვეს მისი ძმა ისმაილი, რომელიც ყალყას ციხეში იყო გამომწყვდეული. შაჰ-ისმაილმა სვიმონი მოაყვანინა ალამუტის ციხითგან და დაჰპირდა ქართლის მეფობის მიცემას, თუ მაჰმადიანობას მიიღებდა. ოლეარიუსის თქმით, სვიმონ მეფე რამდენსამე ხანს ყალყას ციხეში ყოფილა დამწყვდეული [13]). შესაძლებელია, რომ ისმაილმა და სვიმონმა იქ გაიცნეს ერთმანერთი დაახლოვებით და მათ შორის მეგობრობა ჩამოვარდა. ეს-კი ცხადია, რომ ახალი ყაენი მოწყალებით მოექცა ქართველებს. ლევან მეფის შვილი იესეც გაათავისუფლა ალამუტის ციხეში პატიმრობითგან და არჩილ მუხრან-ბატონიშვილი ცილ-შვილით შირაზითგან ყაზმინს მოაყვანინა. არც შაჰ-ისმაილს დასცალდა ბევრი ხანი, ისიც მალე მო-

[13]) H. d. Géor. t. II, l. I. p. 368.

– 21 –

ჰკლეს და ყაენად შაჰთამაზის უფროსი შვილი ხუდაბენდე დასვეს (1577 წ. 24 გიორგობისთვეს). ეს ყაენიც თავის ძმისაებრ მოწყალებით მოეკიდა ქარ-

თველებს: იესე ბატონიშვილს ცოლად შერთო თავის ბიძაშვილი და შაქის მართველად დანიშნა [14]), სვიმონსა და არჩილ მუხრან-ბატონიშვილს კი დაჰპირდა დაგითხოვთ ქართლში წასასვლელადაო.

დავითმა რომ გაიგო სვიმონის გათავისუფლება და ქართლში დაბრუნების დასტურის ამბავი, სპარსელებს გადაუდგა და ხონთქართან გაგზავნა ჩაფარი ერთგულობის გამოსაცხადებლად და შემწეობის სათხოვნელად. ხონთქარს ესიამოვნა ქართლის მეფის მორჩილება და გადაწყვიტა ესარგებლა სპარსეთის არეულობით და დასუსტებით, რომ მის წინაამდეგ გაელაშქრა და საქართველოც დაეპყრო. 1578 წ. ლალა-მუსტაფა ფაშის წინამძღოლობით ოსმალეთის ჯარი მიადგა სპარსეთის საზღვრებს და გაიმართა ომი. გალაშქრების დაწყებისთანავე ლალა-მუსტაფა-ფაშამ მისწერა საქართველოს მეფეთა და მთავრებს: ალექსანდრეს, გიორგის, დადიანს და გურიელს, ჩემი მხარე დაიჭირეთ სპასების წინაამდეგაო [15]). ქართლის მეფეს დავითს ხომ წინადვე ჰქონდა გამოცხადებული მორჩილება, ხოლო სამცხის დიდ-კაცობა ოსმალებს

---

[14]) H. d. G. Isk. Moundji p. 454.

[15]) H. d. G. Hammer. p. 411.

თითონ იწვევდა ათაბაგის და სპარსების წინაამდეგ. ოსმალებმა თავდაპირველად გაიმარჯვეს და დაიჭირეს სპარსეთის მაზრები. მხოლოდ მარტის გასულს წაადგეს ბრძოლა ქურთისტანში. მას შემდეგ ლალა-მუსტაფა-ფაშა გაბრუნდა უკან. სივასში მასთან მივიდენ დადიანისა და გურიელის მოციქულები, რომლებიც მორჩილებას ჰპირდებოდენ. ცოტა ხანს შემდეგ აზრუმის ახლო ჩერმიკის მინდორზე მასთან გამოცხადდენ იმერეთის მეფის გიორგის მოციქულები მორჩილებისა და ერთგულობის გამოსაცხადებლად. ფაშამ როგორც მეფესა, ისე გურიელსა და დადიანს მოციქულების პირით მოსთხოვა სპარსების წინაამდეგ შველა [16]).

აზრუმითგან ლალაფაშა შევიდა სამცხეში, სადაც მიემხრენ იქაურნი დიდებულნი. მან დაიჭირა ციხეები და დაიპყრა სამცხე. ყვარყვარე ათაბაგი და მის ძმა მანუჩარიც იძულებულნი შეიქნენ ოსმალებისთვის მორჩილება გამოეცხადებინათ..

სამცხის დამორჩილების შემდეგ ლალა ფაშამ მოსთხოვა მორჩილება დავითს, ალექსანდრესა და გიორგი მეფეებს. დავითმა ახლა ისევ სპარსეთი არჩია და პასუხი არ მისცა ოსმალებს. მისი ძმა ჯერ კიდევ სპარსეთში იყო და ყაენს ჯერ არ შეესრუ-

ლებინა მის შესახებ თავისი დაპირება ქართლში გა-

[16]) იქვე გვ. 412.

სტუმრებისა. ალექსანდრემ და გიორგიმ დამორჩილების პირობად ითხოვეს ქართლის მიცემა, პირველმა თავისთვის, მეორემ თავის შვილისთვის. ლალა მუსტაფა-ფაშა ალექსანდრეს დაჰპირდა და მოსთხოვა გამაჰმადიანებულიყო. [17]) ლალა-ფაშა გაემართა ქართლის დასაპყრობად. თან წაიყვანა მანუჩარიც. ტფილისისკენ მიმავალს ოსმალეთის ჯარს სომხეთის მკვიდრნი გაუძალუანდენ და ბევრიც ავნეს. ოსმალების მიახლოვებაზე დავითმა ვერ შესძლო გამაგრება, მოსწვა ქალაქი და თვით პირველსავე დღეს ორი საყდარი მეჩეთად გადააქცია [18]). აქეთგან ქართლის დასამორჩილებლად და სვიმონის ცოლ-შვილის შესაპყრობად, რომელიც სურამში სცხოვრობდა, ფაშამ ჯარის გაგზავნა მოინდომა. ამ ამბის გაგებაზე ვახტანგ მუხრან-ბატონმა მიიწვია ელიზბარ ქსნის ერისთავი და ბარძიმ ამილახვარი და იმათთან დააწყო ფაშასთან ეშუამდგომლათ ქართლის აუკლებლობისათვის. ისინი მივიდენ ლალა-ფაშასთან, გამოუცხადეს მორჩილება და სთხოვეს, რომ ქვეყანა არ აეკლო და დაკმაყოფილებულიყო დამორჩილებით. ფაშამ შეიწყნარა მათი თხოვნა და აღარ აიკლო ქარ-

[17]) იქვე გვ. 414.

[18]) იქვე

ლალა-ფაშამ ტფილისითგან გაგზანა ჯარი იმერეთში ამ ქვეყნის დასამორჩილებლად, ალექსანდრე კახეთის მეფეს-კი შეუთვალა, მომეშველე შენის ჯარით, შირვანს უნდა გავილაშქროვო. ალექსანდრე დაჰპირდა მიშველებას. იმერეთში გაგზანილი ჯარი კი დამარცხებული დაუბრუნდა ფაშას. ლალა-ფაშამ მეორედ გაგზანა იმერეთში ჯარი, ხოლო თითონ წავიდა შირვანის დასამორჩილებლად. ტფილისში დასტოვა მეციხოვნენი, რიცხვით 1000, და 100 ზარბაზანი. [19]) ალექსანდრე მეფე თავის ჯარით წინ მიეგება სართიჭალაში და წაჰყვა თან. 8 ენკენისთვეს შირვანში შესულმა ფაშამ დაამარცხა სპარსელების ჯარი, ხოლო რამდენისამე დღის შემდეგ ალექსანდრემ აიღო შაქი. ლალა-ფაშამ შაქში დასტოვა მეციხოვნენი, გამგებელი დააყენა და დაბრუნდა ქართლშივე.

იმერეთში მეორედ გაგზავნილი ჯარი ლალა-ფაშას ტფილისში დახვდა გიორგი მეფის მიერ დამარცხებული.

ალექსანდრე მეფე ლალა-ფაშას გამოჰყვა ქართლში და არაგვამდის მოაცილა. იმედი ჰქონდა ქართლის მეფობის შოვნისა, მაგრამ ფაშამ მაჰმადიანობის მიუღებლობისთვის არ მისცა და მხოლოდ კახეთის

[19]) იქვე.

მეფედ დაამტკიცა. [20]) ლალა-ფაშა დადგა მუხრანში და შეუდგა ქართლის გამგეობის მოწყობას და ოსმალეთის ხელმწიფების დამყარებას. ტფილისში ფაშა დასვა, გორის ციხე გაამაგრა და სანჯახად გახადა. გაამაგრა აგრეთვე სამშვილდე და დმანისი. პირველში დაანგრევინა სიონის გუმბათიანი საყდარი, რადგან იქ ქართველებმა ბევრი ავნეს ოსმალებს შემო--სვლის დროს.

IV

სპარსეთში, რასაკვირველია, სამწუხაროდ დარჩათ ოსმალების გამარჯვება და მათ მიერ ქართლისა, კახეთისა და შირვანის დაპყრობა. სვიმონიც სწუხდა, რომ ქართლი მტერმა დაიჭირა და ნატრულობდა უკანვე დაებრუნებინა თავისი სამეფო. შაჰი დაპირებული იყო, რომ გაგგზანი ქართლს, თუ მაჰმადიანობას მიიღებო. შაჰ-ხუდაბენდეს დედაც ცდილობდა მის გათავისუფლებას, მაგრამ ყაენი თავის წინადადების ასრულებას თხოულობდა. ბოლოს სვიმონმა ვეღარ გასძლო სამშობლოს მოშორება და გარეგნობით მიიღო მუსულმანობა მაჰმუდის სახელით [21]). მაშინ შაჰ-ხუდაბენდეს დედამ, ოთარ შალი-

[20]) იქვე.

[21]) Moundji, Jean de Dzara და Brosset (იხ. H. D. G. t. II. l. I, p. 368, 454, 455)

კაშვილის ქალმა, გაუგზანა სვიმონ მეფეს ლეჩაქი და შეუთვალა: „მომიხვევია ხმალისა შენისა ხეტარსა ზედა; შენ იცი და ხმალმან შენმან. მოგვიცემია შენთვის სამეფო შენი და სხვაცა მრავალი საბოძვარი, წარვედ და განამაგრე საქართველოო, რათა არ წაგვიღონ ოსმალთა, და იყავ თანაშემწე და ერთგულ სახელმწიფოთა ჩვენთა“. ყაენმა სვიმონს მისცა ცხრა

ათასი თუმანი და გამოისტუმრა ქართლში. მასთან ერთად ყაენმა გამოუშვა ქართლში არჩილ მუხრან-ბატონიშვილი და ყველა სხვა ქართველი ტყვენი (1578 წ.).

დავითმა რომ გაიგო ეს ამბავი, თავის ნებით დაუთმო ლალა-ფაშას ყველა ციხეები და თვით წავიდა სტამბოლს ხონთქრის წინაშე. ხონთქარმა დავითი დიდის პატივით მიიღო, გაუჩინა ორი საფაშო სარჩოდ და თავის კარზე შეინახა.

სვიმონ მეფე საქართველოში მოვიდა ღვინობისთვის ნახევარს და სომხეთში დადგა. ამ დროს ლალა-ფაშა იბარგებოდა თავის ჯარით ოსმალეთში დასაბრუნებლად. სვიმონ მეფემ და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმა იმამყულიხანმა დაუწყეს ოსმალებს თავს დასხმა. უსაფრდებოდენ ტყეებსა და მთებში. თავს ესროდენ უცებ და ბრძოლას უტეხავდენ მოულოდნელად [22]). ლალა ფაშა დიდად დაზარალებული შევიდა სამცხეში.

---

[22]) Moundji, ob. H. D. la G. t. II, l. I, p. 458.

სვიმონი შეუდგა თავის სამეფოს დაპყრობას და აიღო ოსმალთ მიერ დაკავებული ციხეები გორისა, ლორისა და სხვები, ტფილისის ციხის გარდა. ვისაც რამე დანაშაული მიუძღოდა ან სვიმონთან ან მის ცოლ-შვილთან, ზოგნი დავითს გაჰყვენ ოსმალეთს, ზოგნი იმერეთს და კახეთს გადაიხიზნენ. მხოლოდ ბარძიმ ამილახვარი და ელიზბარ ქსნის ერისთავი არ შეუშინდენ სვიმონს. მეფეს უნდოდა მათი ჯავრი ამოეყარა, მაგრამ მათ მფარველობდა ვახტანგ მუხრან ბატონი და მეფეს უშლიდა შურის ძიებას. სვიმონმა იწყინა მუხრან-ბატონის გამოსარჩლება და თითონ ის დაამწყვდევინა კეხვის ციხეში. მერე ბარძიმ ამილახვარიც შეიპყრა. ამის დამნახავი ელიზბარ ერისთავი მივიდა დედოფალთანმ შესძღვნა რაც მოეტაცა მისთვის, და შეეხვეწა პატივებას. ამილახვარსაც სხვა ღონე არ დარჩა და ხვეწნით მიმართა დედოფალს. ნესტან-დარეჯანმა შეიწყალა ისინი და სვიმონთან იშუამდგომლა. მეფემ ერისთავს ჩამოართვა ახალგორი და მეჯვდა დედოფლისა და გიორგი ბატონიშვილის სასარგებლოდ. ამი;ახვარს წაართვა კასპი და სვეტი ცხოველს შესწირა. მასვე ჩამოართვა სახასოდ აზნაურები და გორის მოურავობა. ამას შემდეგ დააფიცა ერთგულობაზედ და გაისტუმრა. გაათავისუფლა აგრეთვე ვახტანგ მუხრან-ბატონიცა. მეტის-მეტად მკაცრად მოექცა მეფე მარტო კახაბერ

ყორღანაშვილის ცოლ-შვილს და იმის სახლეულებს რომელნიც შეიპყრა და გადააყრევინა გელიყარის კლდეზე. ყორღანაშვილის სხვა ნათესავები გაიქცგამოიქცენ, ზოგნი სპარსეთს, ზოგნი სამცხეს.

სვიმონ მეფე ცდილობდა ტფილისი აეღო და გაედევნა ოსმალები ქართლითგან. ციხეს გარს შემოერტყა და ისე გაუჭირა საქმე, რომ უსურსათობით მეციხოვნეები ის იყო უნდა დანებებიყვენ, მაგრამ ოსმალებმა დროზედ მიაშველეს მეციხოვნეებს სურსათი [23]).

დავითი რომ სტამბოლს წავიდა, შისი შვილები ბაგრატ და ხოსრო კახეთს მივიდენ ალექსანდრე მეფესთან, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა მათ დედის მხრით. ამას გარდა, ბაგრატი დაესიძა ალექსანდრეს. ახალი მოყვრობა, რასაკვირველია, ვერ აუძრავდა ალექსანდრეს სიყვარულს და თანაგრძნობას თავის სიძის სვიმონის მიმართ. ალექსანდრე შემთხვევას არ ჰკარგავდა, რომ სვიმონისთვის არ ემტრო თავს-და სხმით თუ სპარსეთის შაჰთან დაბეზღებით.

1580 წ. სვიმონი დიღომში იდგა და ცდილობდა ტფილისის აღებას. ალექსანდრემ შეიტყო, რომ მისი დაც თან ჰყავდა სვიმონს; შეკრიბა ჯარი

---

[23]) Hammer (იხ. Hist. de la Géorgie t. II, l. I. p. 415).

და თავს დაესხა მოულოდნელად. სვიმონმა ცოლ-შვილით მოასწრო გაქცევა. ალექსანდრემ მისი ბარგი და საჭურჭლე აიკლო. დედოფლის საცვლითგან პერანგის ამხანაგი ჩამოაგო შუბზე, გაფრიალებული გაიძღოლა თან და დადგა ჭოტორში (მარტყოფში). ამ საძაგლობის მსმენელმა სვიმონ მეფემ შეკრიბა ჯარი და შეუთვალა ალექსანდრეს: „ჰქმენ საქმე უშვერი, რამეთუ თუცა ექმნა სხვას, ჯერ იყო შენგან ძიებად შურისა; აწ განემზადე ხვალისად ბრძოლად, რამეთუ ვიძიებ შურსა“. სვიმონი მივიდა მარტყოფს და შეექმნათ ბრძოლა. ალექსანდრე დამარცხებული გაიქცა და ტყვედ დარჩენ სვიმონს მრავალი კახეთის თავადები. სვიმონმა ისინი წაასხა მცხეთას და სვეტი-ცხოვლის საყდარში ამ ნაირი ფიცი დაადებინა: „ღმერთმან სამართლის მოქმედმან კახს კაცს ნუღა-როდეს ნუ გაუმარჯოს ქართველს კაცზედ, არც დიდთა და არც მცირეთა“. ფიცის შემდეგ მეფემ ყველას საჩუქარი მისცა და გაისტუმრა კახეთს.

ძალით რომ ვერას გახდა, ალექსანდრე მეფემ და-

უწყო სვიმონ მეფეს ყაენთან ბეზღება და დაწამება ორგულობისა. ერთგულობის სათავდებოდ სპარსეთის მთავრობამ მოსთხოვა სვიმონს ასული ყაენის შვილის ჰამზა-მირზის საცოლედ. ისკანდერ-მუნჯის თქმით, თითონ სვიმონმა ამ წინადადებაზედ სიამოვნება გამოაცხადა, მაგრამ ქართველებმა არ მოუწონეს ეს საქმე. ამის გამო სვიმონი ასულის გაგზავნას აგვია-

ნებდა სხვა და-სხვა გარემოების მომიზეზებით. ამ ნაირმა მისმა ყოყმანმა უფრო აუძრა ეჭვი სპარსელებს. ამ დროს გაიგეს სპარსელებმა, რომ შირვანისაკენ მიდიოდენ ყირიმის ჯარით საფარ-გირეი და გაზი-გირეი ოსმალების მეშველად. ამ გარემოებამ სპარსეთის მთავრობას გამოაგზანინა საქართველოსკენ მირზა-ფეჰლუვანი და სხვა დიდი ემირები 20,000 კაცით (1581 წ.). მირზა-ფეჰლუვანმა მოსთხოვა ქართველს მეფეებს მორჩილება და ასულთა გაგზავნა. ალექსანდრეც და სვიმონიც მივიდენ მასთან განჯაში. სპარსეთის ემირებმა ორივე მეფეები მოარიგეს და დაასფიცეს ჯვარსა და სახარებაზედ, რომ ისინი სპარსეთის ერთგულები იქნებოდენ და რომ თავიანთ გულწრფელობას დაამტკიცებდენ ოსმალებთან ბრძოლით და ხარჯის გადახდით. ალექსანდრემ თავის გადაუხდელის ხარჯის გასაწმენდად მისცა 3,000 ირაყული თუმანი სპარსეთის ხაზინისთვის, 1000 მემკვიდრისთვის და ამდენივე მირზა ფეჰლუვანისა და სხვა დიდებულებისათვის [24]). სვიმონ მეფემ ყაენის ხარჯად დაიდო ყოველ წლივ შვიდ-შვიდი ტყვე [25]), რომელთაც ყიდულობდა მთიელებში. მირზა-ფეჰლუვანმა მეფეებისაგან ასულთა მიცემის გარდ ძენიც მოითხოვა მძევლებად. მეფეებს მეტი ღონე არა

[24]) Moundji. იხ. H. De la G. t. II. l. I, 459.

[25]) ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 303.

ჰქონდათ და დათამხდენ. ალექსანდრემ მისცა თავის ძე კონსტანტინე, რომელიც წინადაც ჰყავდა შაჰთამაზს, სვიმონმა – თავისი ძე ლუარსაბი, ორნივე თორმეტ-თორმეტის წლისანი იყვენ. მორიგების დროს ალექსანდრემ სთხოვა სპარსებს, კახეთში დაებრუნებინათ მისი ძმა იესე, რომელსაც აუთქვა ხელშეუხებლობა და უვნებლობა. ამ ნაირისავე აღთქმით და დაპირებით ითხოვა სვიმონ მეფემ თავის ძმა დავითი, რომელიც ოსმალეთიდგან დაბრუნებული ალექსანდრესთან იყო. სპარსელებმა ძმები შეურიგეს

ძმებს და სამშობლოში გაისტუმრეს. [26]).

ძმების მოთხოვნა და ხელში ჩაგდება ალექსანდრესა და სვიმონისაგან განძრახული და ოსტატური მოსაზრება იყო. იმათ უნდოდათ სპარსელებისთვის გამოეცალათ ხელითგან ისინი, ვინც ადვილად შესაძლო იყო ტახტის მეძიებლად გამხდარიყვენ მათ მტრების ხელში. ორნივე მაჰმადიანები და ძმების უმადურნი იყვენ და საფიქრებელი იყო, რომ გულით მოინდომებდენ ძმების სამეფოთა ტახტის დაჭერას. ამ შიშისაგამ გასათავისუფლებლად მეფეებმა ძალიან მარტივი ღონისძიება იხმარეს: ჩაიგდეს თუ არა ხელში თავიანთი ძმები, ხმა გაავრცელეს, რომ

---

[26]) Moundji იხ. H. de la G. t. II, l. I p. 460.

[27]) იქვე და Переп., стр. XXII.

V

ლალა ფაშის მოადგილემ ოსმალეთის მთავარსარდალმა სინან-ფაშამ 1581 წ. გამოგზავნა არზუმითგან მაჰმად-ფაშის წინამძღოლობით ჯარი, რომ დაეჭირა ქართლის ციხეები და ტფილისისთვის სურსათი მიეშველებინა. მაჰმად-ფაშა შემოვიდა ქართლში დმანისის გზით. ოსმალებმა აიღეს ლორი და წამოვიდენ თრიალეთზე გორისკენ. თრიალეთითგან მაჰმად-ფაშამ მასთან მყოფი ყვარყვარე ათაბაგი გაგზავნა იმერეთში, რომ მეფე და მთავრები მიეწვია ქართლზედ გასალაშქრებლად. ოსმალებმა აიღეს გორიც და გაუდგენ ტფილისის გზას. სვიმონ მუხრანს ახლო დაუხვდა ოსმალებს და გაიმართა ბრძოლა. ოსმალები დამარცხდემ და გაიქცენ. უმეტესი ნაწილი ქართველებს ჩაუვარდათ ხელში, ბევრი მტკვარში დაირჩო გაქცევის დროს. მხოლოდ მცირეოდენის ჯარით მაჰმად-ფაშამ შეასწრო ტფილისის ციხეში. სვიმონი გარს შემოადგა ტფილისს და მეციხოვნეები კიდეც აპირებდენ თავი დაენებებინათ ციხისათვის, მაგრამ მაჰმად-ფაშამ გაამაგრა ისინი და გაამხნევა ალექსანდრე მეფის იმედით, რომელიც საიდუმლოდ დაჰპირებოდა შველას [28]).

---

[28]) Hammer, იხ. H. de la G. t. II, l. I. p. 417.

ოსმალები რომ მუხრანს ახლო დამარცხდენ, იმიერ-საქართველოს მეფე-მთავარნი ქართლს შემოესივნენ მათ საშველად. ყვარყვარეს ჩაგონებით, გი-

ორგი მეფემ მიიწვია გიორგი გურიელი და გიორგი დადიანი. ესენიც მივიდენ მასთან თავიანთ ჯარით და სამნივე შეესივნენ ზემო ქართლს. მცხოვრებლები გაიხიზნენ და მიმალეს თავიანთი სარჩო-საბადებელი. შემოსეულებმა, რომ ვერა იპოვეს-რა მოსარბევი, მატიანის თქმით, დასწვეს გაღმა-გამოღმართი და უკანვე დაბრუნდენ.

სვიმონ მეფე-კი ტფილისს გარს ადგა და მოსვენებას არ აძლევდა მეციხოვნეებს. მისმა ცდამ ტყუილად არ ჩაიარა და 1583 წ. აიღო ტფილისის ქალაქიც და ციხეც. ამავე წელს წაართვა ოსმალებს ლორი და სამშვილდე. ამ ამბის შეტყობის შემდეგ ხონთქარმა უბრძანა ქართლზედ გალაშქრება ფერადფაშას, რომელიც სინან-ფაშის სიკვდილის შემდეგ მთავარ-სარდლად იქნა დანიშნული. ქართლში შემოსულმა ფაშამ აიღო ლორი და წამოვიდა ტფილისისკენ. სვიმონიც გაემართა მის დასახვედრად. ოსმალები გაჩერდენ და დაიბანაკეს ხატის-სოფელში. ქართველებმაც ხრამს გამოღმა დაიბანაკეს მტრის სიახლოვეს. ბრძოლის წინად სვიმონმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა. თითონ მივიდა ოსმალების ბანაკში ფაშასთან და, ვითომ სვიმონის მოციქული ვარო, დაუწყო ლაპარაკი მორიგების შესახებ. ფაშამ,

რომელმაც ვერ იცნო სვიმონ მეფე, კარგად მიიღო და პატივით გაისტუმრა. სვიმონმა დაათვალიერა ოსმალთა ბანაკის მდებარეობა და ავ-კარგი. იმავე ღამეს მოუარა ხატის-სოფლის გორას და თავს დაესხა ოსმალთ იმ მხრით, საიდგანაც ისინი მტერს არ ელოდენ. ქართველებმა ოსმალნი მრავლად გასწყვიტეს და ბევრნი დაატყვევეს, აიკლეს მათი ბანაკი და ნაშოვრით დაბრუნდენ ტფილისს (1584 წ). ამ გამარჯვების შემდეგ სვიმონ მეფემ აიღო დმანისის ციხე და დაიპყრო მთელი დმანის-ხევი.

სვიმონის გამარჯვებას ზედ დაერთო ორის მოსაზღვრე ქვეყნების მართველებთან – ალექსანდრე მეფესთან და მანუჩარ ათაბაგთან დამეგობრება და დამოყვრება. ალექსანდრე მეფესთან შერიგების მიზეზი იყო აშოთან მუხრან-ბატონი, რომლის ასული, ქეთევან, ალექსანდრეს უფროსმა შვილმა დავითმა შეირთო. სამცხის ათაბაგმა მანუჩარმა შეირთო სვიმონის ასული ელენე 1582 წ., როდესაც ოსმალების ერთგულებაზედ ხელი აიღო და მაჰმადის რჯულიც საჯაროდ უარჰყო.

1587 წ. სპარსებმა ოსმალებს წაართვეს განჯა. მანუჩარ ათაბაგმა დაიწყო მოლაპარაკება სპარსელებთან ოსმალების წინაამდეგ, მაგრამ სამცხის თავა-

დები, რომლებიც მანუჩარის წინაამდეგნი იყვენ, ოსმალებს მიუდგენ და სტამბოლს გაგზავნეს მოციქულებად მაწყვერელი და რამდენიმე თავადიშვილი.

მურად ხონთქარმა თავადიშვილები მძევლებად დაიჭირა და გამოგზავნა სამცხეში ჯარი. ოსმალებმა დაიწყეს ახალციხის ციხის შენება. მანუჩარმა ოსმალთ წინააღმდეგ შემწეობა სვიმონს სთხოვა. მეფე მაშინვე წავიდა ჯარით მანუჩარის საშველად, მაგრა, მესხებმა წინაამდეგობა გაუწიეს, რომ ოსმალებს არ შეჰბმოდენ სვიმონი და მანუჩარი, რადგან მძევლების შიში ჰქონდათ. სვიმონმა მხოლოდ მანუჩარის ურჩი თემი მოაოხრა და უკანვე დაბრუნდა. სამცხის თავადიშვილებმა მანუჩარი იძულებული ჰყვეს წასულიყო სვიმონთან, რომელმაც ის ახლ-დაბას დაყენა ცოლ-შვილით. მანუჩარის დედა დედის-იმედი და ქაიხოსრო ყვარყვარე ათაბაგის ძეც მალე მანუჩარის გზას გაუდგენ. 1588 წ. მარტში სვიმონი წაჰყვა მანუჩარს ჯარით და შევიდა სამცხეში. ახალციხეში მყოფმა ოსმალეთის ფაშამ მოლაპარაკება დაიწყო მანუჩართან, რომელმაც მოციქულები გაგზავნა ხონთქართან. ხონთქარმა შეიწყნარა მისი თხოვნა და დაამტკიცა ათაბაგად.

ამავე წელს ოსმალებმა ხელმეორედ წაართვეს სპარსებს განჯა, რომლის ასაღებად გაიარეს ქართლის სამზღვარზედ სვიმონის ნებართვით. ეს ნებართვა, ისკანდერ მუნჯის თქმით, ფერად-ფაშამ მიიღო სვიმონისაგან მხოლოდ მაშინ, როცა ფაშა ბევრს სიკეთეს დაჰპირდა და დიდი საჩუქარიც მისცა [29]).

[29]) Isken. Moundji, H. d. G. t. II, l. I. p. 460.

ამას შემდეგ შაჰ-აბაზმა გაგზანა მოციქულები სტამბოლს და ითხოვა მორიგება და ზავი. ხონთქარი დათანხმდა ზავზე იმ პირობით, რომ სხვათა ქვეყანათა შორის შაჰს საქართველო ოსმალეთისათვის დაეთმო. შაჰმაც საქარველოზე ხელი აიღო და ოსმალთ დაუთმო ყველა მაზრები სპარსეთისა, რაც ოსმალთ წაართვეს იარაღით [30]).

VI

სწორედ 1588 წელს, თითქო სპარსთა და ოსმალთ შორის დადგენილს ზავს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონოდეს, სვიმონ მეფემ მოინდომა იმერეთის

დაპყრობა გიორგი მეფის ჯავრის ამოსაყრელად. სვიმონ მეფე ეზრახა ლევან მეფის წინაამდეგ იმერეთის დიდებულთ, რომელთაგან ბევრმა ერთგულობის მტკიცე პირობა მისცა. მართლაც, გადავიდა თუ არა სვიმონი ჯარით იმერეთს, მაშინვე მიემხრენ ზემოური თავადები თავიანთ ყმებით. ლევან მეფემ შეკრიბა ჯარი და გოფანთოში გაჩერდა. აქედგან მან შემწეობა სთხოვა მამია დადიანს და გიორგი გურიელს, მაგრამ ესენი არ მიეშველენ. სვიმონი ჯარით მივიდა გოფანთოს და აქ გაიმართა ბრძოლა სვიმონისა და ლევანის ჯარებს შორის. ლევანი იძლია და გაიქცა

[30]) Hammer (იხ. H. De la G. t. II, l. I. p. 419

ლეჩხუმს, სვიმონმა კი მთელი იმერეთი დაიპყრო. სვიმონს ქართლში ოსმალების შიში ჰქონდა და ამიტომ ბევრი ხანი ვერ დარჩა, რომ დაპყრობილი ქვეყანა მტკიცედ ჩაეგდო ხელში. მხოლოდ თავადებს მძევლები გამოართვა და უკანვე დაბრუნდა.

სვიმონის ქართლს დაბრუნების შემდეგ ლევანმა ისევ დაიპყრო იმერეთი. ახლა ის დადიანს გადაემ-] ტერა, რაკი სვიმონის წინააღმდეგ არ მიეშველა. საქმე იქამდის მივიდა, რომ 1590 წ. მამია დადიანი ჯარით ქუთაისს მიადგა. ბრძოლაში ლევან მეფე იძლია და ტყვედ ჩაუვარდა დადიანს, რომელმაც ოდიშს წაიყვანა და შხეფის ციხეში დაამწყვდია. ლევანი აქ მალე მიიცვალა და იმერეთის მეფედ მამიამ დასვა როსტომ კონსტანტინეს ძე, რომელსაც თავის ასული შერთო ცოლად. ამავე წელს მიიცვალა მამია დადიანიც და გამთავრდა მისი ძმა მანუჩარი. გიორგი გურიელმა არ ინდომა როსტომის მეფობა, ჯარით შევიდა იმერეთს, აიღო ქუთაისი და როსტომი გადევნა. მეფედ დასვა ბაგრატ, თეიმურაზის ძე, ბაგრატ III-ის ძმის ვახტანგის შვილიშვილი. გურიელმა ქუთაისი გაიმაგრა და ბაგრატს მოუყენა მტჩეველად თავის ძე მამია. ამ ცვლილების ამბავი რომ შეიტყო, სვიმონ მეფე წამოვიდა ჯარით იმერეთს. იმერლები ახლაც მიემხრენ სვიმონს, რომელმაც აითო ქუთაისი და დაატყვევა ბაგრატი (1591 წ.). ქუთაისის ციხეში სვიმონ მეფემ თავის მეციხოვნენი ჩააყენა, იმერეთის თავადებისგან მძევ-

ლები მოკრიბა და ისევ მალე დაბრუნდა ქართლში ბაგრატითურთ.

როსტომმა შემწეობის სათხოვნელად მიმართა

მანუჩარ დადიანს. დადიანი ჯარით წამოჰყვა როს-
ტომს იმერეთს, აიღო ქუთაისი და კვალად გაამეფა.
ამ ახალის ცვლილების გამგონმა სვიმონ მეფემ კი-
დევ გაილაშქრა იმერეთის დასაჭერად. აიღო ციხეე-
ბი: სკანდა, კაცხი, კვარი და სვერი, შიგ მეციხოვ-
ნეები ჩააყენა და ქუთაისს მიადგა. როსტომი ქუთაი-
სითგან გაიქცა ოდიშს და სვიმონმა ქუთაისის ხი-
ხეც დაიჭირა. ცხადი იყო, რომ სვიმონი იმერეთს
ვერ მოიმტკიცებდა, ვიდრე მის ტახტის მეუფლე თა-
ვისუფლად იქნებოდა. ამიტომ მან მოინდომა როს-
ტომის შეპყრობა. სვიმონი თავის ჯარით გაემართა
ოდიშისკენ. ეს რომ დადიანმა გაიგო, მეფეს მოცი-
ქულები გაუგზავნა. სვიმონი ამ დროს ოფიშკვითში
იყო დაბანაკებული და დადიანის მოციქულები აქ
გამოეცხადენ. მანუჩარი სთხოვდა სვიმონს როსტო-
მისთვის მიეცა იმერეთი იმ პირობით, რომ როსტო-
ნიც და მანუჩარიც მისი მორჩილები იქნებოდენ:
„ესრედ დაინკვიდრე საქართველო, ვითარცა პირველ
დავით აღმაშენებელმაო“, უთვლიდა დადიანი. სვი-
მონმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა და მოითხოვა როს-
ტომის გაცემა. დადიანმა და როსტომ მეფემ სვიმო-
ნის პასუხის მიღების შემდეგ საჩქაროდ შეკრიბეს
ჯარი, სწრაფად წამოვიდენ და განთიადისას დაეცენ

სვიმონის ბანაკს ოფიშკვითში. ბრძოლაში სვიმონის
ჯარი იძლია. როსტომმა დადიანის შემწეობით აიღო
ქუთაისი და დაიპყრო მთელი იმერეთი.

ოფიშკვითში შუა ბრძოლის დროს სვიმონ მე-
ფემ მოითხოვა ის ცხენი, რომელსაც შურდანი ერ-
ქვა. მეფის ამ ნაირი ბრძანება რომ გაიგონა საამ
თურქისტანიშვილმა, მივიდა სვიმონთან და უთხრა:
„რა არის მიზეზი შურდანზე შეჯდომისა თქვენისა?
ნუმცა მიხილავს თვალითა ჩემითა ლტოლვა მრავალ-
ჯერ გამარჯვებულისა და სახელოვანისა თავისა თქვე-
ნისა. მე აქიდგან შუბ-მოუქნეველი ცოცხალი არ
წავალ". საქმე ის არის, რომ თურქისტანიშვილის-
თვის მეფის ბრძანებას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა,
რომელიც სხვას არავის ესმოდა. სვიმონ მეფეს ორი
რჩეული ცხენი ჰყავდა – ფალავანი და შურდანი.
როცა ომში გამარჯვების იმედი ჰქონდა, სვიმონი
ფალავანზე ჯდებოდა, როცა დამარცხების შიში შე-
ეპარებოდა და გარდასწყვეტდა უკან დახევას, შურ-
დანზედ ჯდებოდა. მისი ამ ნაირი ჩვეულება თურ-
ქისტანიშვილის მეტს არავის ჰქონდა შენიშნული და
ახლაც ის მიხვდა, რა განზრახვაც ჰქონდა მეფეს.
თურქისტანიშვილი ახალგაზდა და მამაცი კაცი იყო.
თავის სიტყვების დასამტკიცებლად შეერია დადიანის

ჯარში და თავგამოდებით დაიწყო ბრძოლა. მაგრამ მან ვერ შესცვალა მეომართა ბედის ტრიალი. სვიმონის ჯარი დამარცხდა და გამარჯვებულთ დარჩათ

მრავალი საუნჯე, დიდი თოფები, ზარბაზნები და ოქონის ხატი, რომლის მატარებელი დეკანოზი გარსევანიშვილი მოკლულ იქმნა [31]). სვიმონი მარტოდ მარტო თავის შურდანით წამოვიდა ქართლისკენ. მის ჯარს კი გამოუძღვენ მისი სარდლები, რომელთა შორის ერია საამ თურქისტანიშვილიც.

უკან დაბრუნებულმა სვიმონმა კოლბეურზედ გაიარა. ქართლითგან რომ მოდიოდა იმერეთში, ამ სოფელში ერთმა დედაკაცმა მიუყვანა მეფეს თავისი შვილი და შეეხვეწა, თან წაიყვანე ომშიო. მეფემ დედაკაცს თხოვნა არ შეუსრულა და უთხრა: „დედავ, არ უწყი, რომ კაცითა მთვრალ ვარო?“ ახლა დამარცხებული და მარტოდ დაბრუნებული მეფე კოლბეურს რომ მივიდა, შეხვდა იგივე დედაკაცი, რომელიც ახოს თოხნიდა. დედაკაცი მიხვდა, რა ყოფაშიაც იყო მეფე და მოახსენა: „მეფეო, კაცისაგან რომ მთვრალი იყავ, ვეჭვობ, ახლა კი გამოგფხიზლებიაო“.

კოლბეურითგან სვიმონმა ისევ მარტოდ გაიარა ქართლი. კავთისხევს რომ მიაწია, საღამოზედ, დამაშვრალი მეფე დასასვენებლად მივიდა ერთის გლეხ-კაცის – გვარად ქვლივიძის სახლში და ითხოვა, თქვენს ჭერს ქვეშ შემაფარეთო. მასპინძელმა ქალმა, რომლის ქმარიც მეფის ჯარში იყო წასული იმერეთს,

[31]) Дворян. Грам., стр. 13-14.

კეთილად მიიღო უცნობი სტუმარი და სერის მზადებას შეუდგა. სუფრა რომ გაუშალა, ქალმა ჰკითხა: „მეფე რას იქს, როგორ მშვიდობით გადარჩა ომსაო“. სვიმონმა მიუგო: „არა ვიცი-რა მეფისაო“. მერე ქალმა ანიშნა თავისი ქმარი და იმისი ამბავი ჰკითხა. მეფემ კიდევ უპასუხა: „არა ვიცი-რა, თუ რა შეემთხვა მეფის ლაშქარსაო“. მაშინ ქალმა წუხილი დაიწყო ამ სიტყვებით: „ნეტა ღმერთმა მიხედოს მეფეს წყალობით და გვეღირსოს სვიმონის ცოცხლებით გამოსვლა და სხვანი ყველანი მის ჭირის სანაცვლონი იყვნენო“. მეფემ მაინც არ შეატყობინა მესპინძელს თავისი ვინაობა და მეორე დღეს წავიდა ტფილისისკენ. უცნობის სტუმრის ვინაობა ქალმა მარტო მაშინ შეიტყო, როცა სვიმონმა მისი ქმარი

გააზნაურა და ყმა, მამული და სახელო მისცა.

ლორის ციხეში მყოფმა ოსმალებმა რომ შეიტყეს სვიმონ მეფის იმერეთში დამარცხება, გამოვიდენ ციხითგან და დაიწყეს რბევა ქართლისა. ტფილისში რომ სვიმონი მივიდა, ისინი ტაშირზე იდგენ დაბანაკებულნი. მეფემ შეკრიბა ლაშქარი, დაესხა ლორის ციხეს, ოსმალები გაწყვიტა და ციხეც დაიპყრო.

ლორითგან დაბრუნებულმა სვიმონ მეფემ გამართა მოლაპარაკება როსტომ მეფესთან. მათ შეკრეს ზავი, რომლის ძალითაც როსტომმა გამოუშვა ქართლს იმერეთში დარჩენილი სვიმონის მეციხოვნეები, ხოლო სვიმონმა დააბრუნა იმერეთს მისგან წამოყვანილი მძევლები.

– 42 –

ახლა ოსმალებს ქართლში ერთი გორის ციხეღა ეჭირათ. სვიმონისთვის იმის აღება-ღა იყო საჭირო, რომ ქართლი გაეწმინდა ოსმალთაგან. 1592 წ. მეფე ჯარით მიადგა გორს, მაგრამ მტრის ზარბაზნების გამო ვერ შესძლო მისი აღება. უკეთესის შემთხვევის დასაცდელად მეფე დადგა გორის-ჯვრის გორაზედ. ერთხელ ღვინითა და თრიაქით გამხიარულებულმა და დამთვრალმა მეფემ გადახედა გორის ბოსტნებს და უთხრა თავის ჯარს: „განა თქვენთვის სირცხვილი არ არის, რომ ვხედავ თვალით მწვანილს, მინდა მისი ჭამა, მაგრამ მომტანი არავინ არისო“. ამის მსმენელი სვიმონის ჯარი მაშინვე გავიდა მტკვარს და დაგლიჯა მწვანილი, მაგრამ ძვირად დაუჯდა მეფის ქეიფის შესრულება. ოსმალებმა ციხითგან თოფ-ზარბაზანი დაუშინეს და მრავალნი დახოცეს. მეფეს მიართვეს მწვანილი და თან არ დაერიდენ დაეყვედრებინათ, რომ მწარე ხახვისათვის ოსმალებს ამოაწყვეტინე იმდენი ვაჟკაცნი: თავადნი, აზნაურნი, თუ გლეხნიო. გამოფხიზლებულმა მეფემ ინანა, მაგრამ გვიან-ღა იყო. მაშინვე აჰყარა ჯარი და უკანვე წავიდა ტფილისს.

VII

1598 წ. სვიმონ მეფემ გადაწყვიტა გორის ციხის აღება და გარს შემოადგა ჯარით. ოსმალები ძა-

– 43 –

ლიან გამაგრებულები იყვნენ და არ ჰნებდებოდენ. მხოლოდ ცხრა თვის შემდეგ აიღო სვიმონმა ციხე და ამოწყვიტა შიგ მყოფი ოსმალეთის მეციხოვნეები.

იოანე ძარელი მოგვითხრობს, რომ სვიმონ მეფემ ციხის კედლები დაანგრევინა, ქვები ოსმალებს ზურგით მტკვრის პირას ჩაატანინა და წყალში გადააყრევინაო; ამას შემდეგ ოსმალები დახოცინა და მათი ცოლ-შვილი ქართველებს დაურიგაო [32]) (1599 წ.).

მოჰამედ ხონთქარმა ამ ამბის შეტყობაზედ უბრძანა ამირ-სპასალარს ვეზირს ჯაფარ-ფაშას, რომელიც ჯარით თავრიზში იდგა, რომ გაელაშქრა ქართლს სვიმონ მეფის წინააღმდეგ. ჯაფარ-ფაშამ ბრძანება გასცა, რომ გზები ეკეთებინათ და შეემზადებინათ სურსათი და ცხენების საკვები. შეყარა 20,000 კაცი ოსმალი და სომეხი, აღჭურვილი წერაქვებით, ბარებით, ნიჩბებით, ცულებით, ხერხებით და სხვა იარაღით, რომელიც საჭიროა გზების საკეთებლად ადა შენობათა დასაქცევად. ამ ნაირის თადარიგით წამოვიდა ქართლს ჯაფარ-ფაშა, რადგან შიში ჰქონდა სვიმონ მეფისა, რომლის სიმამაცე და მოხერხებულობა მრავალჯერ ჰქონდა გამოცდილი და რომლისაგანაც ხშირად უკუქცეულიყო სირცხვილეული [33]).

სვიმონ მეფემ თავის მხრით ოსმალების დასახვედრად შეჰყარა ჯარი და დაბანაკდა საღირაშენს.

---

[32]) Jean de Dzara (Hist. de la Géorgie, t. II. L. I p. 455).

[33]) იქვე, 455-456.

ოსმალები დადგენ ნახიდურში. სამი დღე უცდიდენ მოწინააღმდეგენი ერთი მეორეს საომრად აშლას [34]). ბოლოს სვიმონმა გადაწყვიტა ომის დაწყება. ოსმალების ბანაკის დასათვალიერებლად სვიმონმა წაიყვანა ათი ცხენოსანი ერთის მექანარით და მივიდა ნახიდურის თავს. აქ, მტრის ბანაკს რომ გადახედა, მოინდომა საკუთარის თვალით ენახა, რა ნაირად იყვენ ოსმალები მომზადებულნი მტრის დასახვედრად. ამ აზრით უბრძანა მექანარეს ბუკი დაეყვირებინა. ბუკის ყვიილზე ოსმალებს ეგონათ ქართველები დაგვესხენო. შეშინებულებმა აღჭურვა და ამხედრება იწყეს. სვიმონ მეფემ მაშინვე გამოსწია თავის ბანაკისკენ. გზაში შეხვდენ ოსმალნი, რომელთაც ერთის დატყვევებულის ქართველის შემწეობით შეიტყეს მისი ვინაობა. იმათ შიშით ვერ გაბედეს მასთან შებმა და შეატყობინეს ჯაფარ-ფაშას, რომელმაც მეფეს მდევარი გამოუყენა [35]). სვიმონს ადვილად შეეძლო გაჰქცეოდა ოსმალებს, რომ ერთი უბედური შემთხვევა არ დამართოდა. ფარცხისის ბოლოს ცხენი ლიაში ჩაუვარდა. სვიმონი ფეხზე დადგა და სცდილობდა ცხენის გამოყვანას. ამ დროს ოსმალები გარს შემოეხვივენ. მეფემ მისეულის ოსმალების მოსაგერებლად იარაღს

მოჰკიდა ხელი, მაგრა, რას გააწყობდა, ტყვედ დაიჭირეს. ბანაკში რომ მიიყვანეს, ჯაფარ-ფაშა სვიმონს

[34]) იქვე, გვ. 456.
[35]) იქვე.

წინ მიეგება და თავი დაუკრა, ხოლო მის დატყვევების ამბავი მაშინვე ხონთქარს მისწერა.

ქართველებმა რომ სვიმონ მეფის დატყვევება შეიტყეს, ძალიან შეწუხდენ. იქვე მყოფმა მეფის ძემ გიორგიმ მიიღო ჯარის უფროსობა და გამოედევნა ოსმალებს, რომლებიც ლორისკენ წავიდენ. იმათ მოასწრეს ციხის აღება და შიგ შესვლა. ჯაფარ-ფაშამ ლირის ციხეში დასტოვა მეციხოვნეები და თითონ წავიდა თავრიზს (1600 წ.).

რამდენად სასიხარულო იყო ხონთქრისთვის სვიმონის დატყვევება, იქითგან სჩანს, რომ ამ შემთხვევის გამო მან გასცა ბრძანება მის სახელმწიფოს ყველა ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამის დღის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ. ხოლო ჯაფარ-ფაშას მიუწერა ბრძანება, რომ სვიმონი სტამბოლს გაესტუმრებინა. ამ წლის ზამთარი და გაზაფხული სვიმონ მეფემ თავრიზში გაატარა. მხოლოდ ზაფხულში გაისტუმრეს სტამბოლს, მაგრამ ოსმალებმა გზაში რამდენსამე ხანს გააჩერეს სვიმონი აზრუმში იმ შიშით, რომ არ ჩავარდნოდა ხელში მთავრობის წინაამდეგ გამდგარს მოხელეს „იაზიჩს“, რომელსაც არზრუმის ახლო-მახლო მაზრები ეჭირა და გაეცა ბრძანება თავის მომხრეებში, სვიმონი როგორმე გაათავისუფლეთ და ჩემთან მოიყვანეთო [36]). სვიმონი რომ

[36]) იქვე.

სტამბოლს მიიყვანეს, ხონთქარმა უბრძანა, რომ თუ დამემორჩილები და ხარჯის ძლევას ამითქვამ, ქართლში გაგისტუმრებო. სვიმონმა დამორჩილებისა და ხარჯის ძლევის უარი განუცხა. ამის შემდეგ შვიდკოშკიანს ციხეში დააპატიმრეს[37]). ქართლში კი გამეფდა სვიმონის ძე გიორგი X (1600 წ.).

ამ ნაირად სვიმონის მეფობამ გაიარა დაუცხრომელს ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, მის თავ-განწირულს ბრძოლას არ

ჰქონდა შესაფერი ნაყოფი და ქართლი ისეთივე დამოკიდებული დარჩა სვიმონის შემდეგ, როგორც მის წინად იყო. მართლაც-და შეუძლებელი იყო სვიმონისთვის თავის სამეფოს დამოუკიდებლობის დაცვა იმ დროს, როდესაც მისი სამეფო შეადგენდა მხოლოდ ერთს მცირე კუთხეს საქართველოსას, რომელიც განაწილებული იყო სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. თითოეულის საქართველოს სამეფოსა ან სამთავროსათვის შეუძლებელი იყო ისეთის მძლავრის მტრის მოგერება, როგორნიც იყვენ სპარსეთი და ოსმალეთი. მეფეს, რომელიც მოინდომებდა თავის სამეფოს დამოუკიდებლობის მოპოებას, პირველად უნდა იმაზედ ეფიქრნა, რომ სხვა ქართველი მეფე-მთავრები მიემხრო და მათის დახმარებით მთელის სა-

[37]) H. D. Géor. I. II, l. I. გვ. 462.

ქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. საუბედუროდ, სვიმონ მეფეს არ შეეძლო ეთავა ამისთანა დიდი საქმე. სვიმონი იყო მხოლოდ მამაცი და გამბედავი მეომარი. წინასწარ-მოფიქრებით, აწონ დაწონით და მოთმინებით მან არ იცოდა მოქმედება. სიძულილი მტრისა აღელვებდა და იზიდავდა პირდაპირ შურის საძიებლად. დაურიდებლად იცოდა მტერთან შებმა. გახდებოდა რასმე – კარგი იყო, არადა, უკან ბრუნდებოდა იმ განზრახვით, რომ კვლავ გადაეხადა სამაგიერო. სვიმონი არ ზოგავდა არც თავის თავს, არც თავის ყმებს. ამაში მას ხელს უწყობდა ის ურიგო ჩვეულება – თრიაქის სმა, რომელსაც სპარსეთში მიეჩვია. თავხედურის გამბედაობისთვის სპარსები გიჟს სვიმონს ეძახდენ.

ამისთანა თვისების გამო სვიმონს ვერ შეეძლო მიემხრო და შეეკავშირებინა ერთის აზრით ყველა საქართველოს მაშინდელი მეფეები და მთავრები. კახეთის მეფე ალექსანდრე, პირიქით, გადამტერებული იყო სვიმონზე და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, ევნო მისთვის თავ-დასხმით თუ ყაენთან დაბეზღებით. მტრების მოსაგერებლად ალექსანდრე სულ სხვა ნაირს პოლიტიკას ადგა, მორჩილებას უცხადებდა სპარსელებსაც და ოსმალებსაც, რომ აეცილებინა მათი შესევა კახეთში. ამას გარდა, ალექსანდრეს საიდუმლოდ ჰქონდა მოლაპარაკება რუსეთის ხელმწი-

ფესთან მფარველობის შესახებ და თავდაპირველად დიდი იმედიც ჰქონდა შემწეობისა.

იმერ-საქართველოს სამეფო და სამთავროები

სულ სხვა სურათს წარმოადგენდენ. მეფე და მთავ-
რები დაუცხრომელს ქიშპობასა და დავიდარაბაში
იყვენ. წვრილმანის ანგარიშებისათვის დავიწყებული
ჰქონდათ უდიდესი საგანი – დამოუკიდებლობის და-
ცვა ოსმალთაგან, რომლებიც თავის საბრძანებლად
სახავდენ მთელს იმიერ-საქართველოს. ქართლის მე-
სამე მოსაზღვრე ქართველების სამთავრო – სამცხე –
ხომ უფრო უარსესს მდგომარეობაში იყო. ოსმალე-
ბი, სიახლოვისა გამო, აქ უფრო ფეხ-მოკიდებულნი
იყვენ და მათ ისე ჰყავდათ გადაბირებული თავად-
აზნაუ-
რობის ერთი ნაწილი, რომ თვით სამცხის დიდებუ-
ლები იწვევდენ ოსმალთ თავიანთ ათაბაგების წინა-
ამდეგ.

სვიმონი თავის პირველს ტყვეობამდე შეური-
გებელი მტერი იყო სპარსელებისა, ვიდრე ისინი და
მათგან გამეფებული მისი ძმა დავითი მტრობდენ მას.
ხოლო როცა სპარსეთითგან დაბრუნდა და ქართლი
ოსმალებმა დაიჭირეს, შეიქნა დაუცხრომელი მტერი
ოსმალებისა და ერთგული მომხრე სპარსელებისა.
სვიმონი სპარსეთის შაჰს ერთგულობის ნიშნად უგ-
ზანიდა ყოველს წელს შვიდ-შვიდს ტყვეს, რომელთ
სასყიდლად შემოიღო ახალი გადასახადი კომლზე თი-
თო მარჩილი. სვიმონი სპარსეთის ერთგული დარჩა

1688 წლის შემდეგაც კი, როდესაც სპარსელებს
და ოსმალებს შუა დადებულის ზავის ძალით მთელი
საქართველო ოსმალეთმა დაიჩემა.

ამ ზავის შემდეგ შემთხვევა ჰქონდათ
ქართველს მეფეებს და მთავრებს, შეერთებულიყვნენ
და გამკლავებოდნენ ოსმალეთს სრულის დამოკიდე-
ბულობის შესაძენად. სპარსეთი ამ შემთხვევაში, თუ
ხელს არ მიუწყობდა, ხომ არ დაუშლიდა თავის მო-
ქიშპე ოსმალების უღლითგან გათავისუფლებას. მა-
გრამ ვერ გამოიყენეს ქართველმა მეფე-მთავრებმა ეს
კარგი დრო და შემთხვევა. სვიმონმა, პირ-იქით, ერ-
თობისა და სიყვარულის ჩამოგდების მაგიერ, მაშინ
მოინდომა იმერეთის მეფე ლევანისთვის გადაეხადა
სამაგიერო იმისი, რაც ახსოვდა იმის მამის გიორგი
მეფისაგან, რომელმაც ოსმალების თხოვნით გამოი-
ლაშქრა ქართლზედ. სვიმონმა გაილაშქრა იმერეთს
და კიდეც დაიპყრო ეს ქვეყანა. უარესის დროს არ-
ჩევა აღარ შეიძლებოდა სვიმონ მეფისაგან იმერეთის
დაპყრობისათვის. ამ დაპყრობას იმას არ უყა-
ბულებდენ მასინ არც ოსმალები, რომელთაც მის
სამეფოშივე ეჭირათ ყველა გამოჩენილი ციხეე-
ბი, არც დანარჩენი ქართველი მეფე-მთავრები, რო-

მელთაც უნდა შეშურებოდათ სვიმონის გაძლიერება. ამიტომაც სვიმონის გალაშქრებამ ამაოდ ჩაიარა და იმერეთში ისევ მალე გამეფდა უწინდელი მეფე. სა-

ქართველო ისევ დანაწილებულ-დაკნინებული დარჩა და სვიმონიც ბოლოს შეიქნა სხვერპლი თავის მოუსაზრებლობისა და მეტის-მეტად გაუფრთხილებელის, თავხედურის გამბედაობისა.